გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №161

2023 წლის 8 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,ფ/პ მამუკა მაყაშვილისთვის (პ/ნ 59001035320), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 05 ივლისს (N19/2023186138-20) შემოსულია მოქ. მამუკა მაყაშვილის განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, იჯარის გაგრძელება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ს/კ 66.46.24.509.006 უძრავ ქონებაზე. აღნიშნული ქონება 2018 წლის 25 ივლისს იჯარის ფორმით გაცემულ იყო 5 წლის ვადით (მოქ. მამუკა მაყაშვილის მიერ, ს/კ 66.46.24.509.006 მიწის ნაკვეთზე საკუთარი ხარჯებით მოეწყო მსუბუქი კონსტრუქცია, სწრაფი კვების ფუნქციონირების მიზნით), რომელსაც ამოეწურა მოქმედების ვადა. აღნიშნულ ქონებაზე მოიჯარე კეთილსინდისიერად ასრულებდა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 17 აგვისტოს N271-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, გორში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.46.24.509.006, დაზუსტებული ფართობი - 314.00 კვ.მ (მისამართი: კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 70,000.00 (სამოცდაათი ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ს/კ 66.46.24.509.006, ფართობით 314 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს ჯერ საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ ყოველწლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ს/კ 66.46.24.509.006, ფართობით 314 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით, კომერციული დანიშნულებით გადასცეს ფ/პ მამუკა მაყაშვილს (პ/ნ 59001035320).
2. უძრავი ქონების 314 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 70,000.00 (სამოცდაათი ათასი) ლარით.
3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3600 (სამიათას ექვსასი) ლარით.
4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.
5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს)
6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე